

# დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები აღრმავებს ეჭვებს პოლიტიკურ მოტივაციებზე — NGO-ები რ2-ის ჟურნალისტების გაშვებაზე

[on.ge/story/42279-დაუსაბუთებელი-გადაწყვეტილებები-აღრმავებს-ეჭვებს-პოლიტიკურ-მოტივაციებზე-ngo-ები-რ2-ის-ჟურნალისტების-გაშვებაზე](https://on.ge/story/42279-დაუსაბუთებელი-გადაწყვეტილებები-აღრმავებს-ეჭვებს-პოლიტიკურ-მოტივაციებზე-ngo-ები-რ2-ის-ჟურნალისტების-გაშვებაზე)

2019 M08 20



ფოტო: ნიკა ურუშაძე / რუსთავი 2

119 წაკითხვა 10 გაზიარება

9 არასამთავრობო ორგანიზაცია რუსთავი 2-დან ჟურნალისტების გათავისუფლებას უარყოფითად აფასებს და აცხადებს, რომ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები აღრმავებს ეჭვებს პოლიტიკურ მოტივაციებზე. მათი თქმით, დასტურდება, რომ რეალური მიზეზი არხის სარედაქციო პოლიტიკის ცვლილებაა. მათივე თქმით, არაერთხელ მოუწოდეს მენეჯმენტს არ ჩარეულიყო არხის კრიტიკულ პოზიციაში და ამის დაპირებებიც გაიცა, თუმცა სხვა შედეგი დადგა.

ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ საყურადღებოა არხიდან გათავისუფლებული საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის, ნოდარ მელაძის განცხადება იმაზე, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები მის დაყოლიებას ცდილობდნენ სარედაქციო პოლიტიკის შესაცვლელად. ასევე, ამბობენ, რომ ახალი მენეჯმენტი ხშირად საუბრობდა ფინანსურ პრობლემებზე და ამის ფონზე ყველაზე რეიტინგული გადაცემების წამყვანები გაათავისუფლა. არასამთავრობოები ამბობენ, რომ თანამშრომლებისთვის ხელფასების არდარიცხვაც არაპირდაპირ ზეწოლად შეიძლება ჩაითვალოს.

"აღნიშნულიდან გამომდინარე ეჭვგარეშეა, რომ რუსთავი 2-ის წამყვანი ჟურნალისტების სამსახურიდან ბუნდოვანი მიზეზებით გაშვება სინამდვილეში არხის სარედაქციო პოლიტიკის ცვლილებაა", — აცხადებენ NGO-ები.

მათი თქმით, რუსთავი 2-ის გარშემო განვითარებული მოვლენები ნეგატიურ გავლენას ახდენს საქართველოში არსებულ მედია გარემოზე და უარყოფით გავლენას იქონიებს, როგორც მედიის თავისუფლებაზე, ასევე, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.

განცხადებას ხელს აწერენ:

1. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო;
2. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა;
3. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
4. საზოგადოება და ბანკები;
5. მედიის განვითარების ფონდი;
6. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი;
7. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი;
8. მწვანე ალტერნატივა;
9. კვლევითი ჟურნალისტიკისა და ეკონომიკური ანალიზის ცენტრი.

ქიბარ ხალვაშის მიერ [რუსთავის 2-ის გადაფორმებიდან](#) ერთი თვის თავზე არხიდან გაათავისუფლეს საინფორმაციო სამსახურის უფროსი [ნოდარ მელაძე](#). შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ კი [გათავისუფლებენ](#) საზოგადოებრივი და პოლიტიკური ტოქ-შოუს მთავარ პროდიუსერს გიორგი ლაფერაშვილს; პოლიტიკური გადაცემების წამყვანებს გიორგი გაბუნიასა და ეკა კვესიტაძეს და გასართობი გადაცემის ავტორსა და წამყვანს ნანუკა ჟორჟოლიანს. ახალმა დირექტორმა, პაატა სალიამ მათი გათავისუფლების მიზეზად "ინტერესთა კონფლიქტი" და "შიდა ომები" დაასახელა.

პროტესტის ნიშნად არხი დატოვეს კურიერის წამყვანებმა, [დიანა ჯოჯუამ](#), [პაატა იაკობაშვილმა](#) და [მიშა სესიაშვილმა](#).

გაიგეთ მეტი ჟურნალისტების გათავისუფლების მიზეზებზე:

- ["არ გვჭირდება შიდა ომები" — გაბუნიას, კვესიტაძეს, ჟორჟოლიანსა და ლაფერაშვილს რ2-დან ათავისუფლებენ](#)
- [ინტერესთა კონფლიქტია — პაატა სალია ნოდარ მელაძის გათავისუფლებას ადასტურებს](#)

•